საქართველოს
დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო

DEPOSIT INSURANCE AGENCY
OF GEORGIA

2022 წლის წლიური ანგარიში

მარტი, 2023 წელი

სარჩევი

შესავალი 3

სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო, მისია და ღირებულებები 5

სისტემის წევრი ბანკები 6

სააგენტოს მიერ 2022 წელს განხორციელებული ძირითადი საქმიანობის მიმოხილვა 8

კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები 8

დეპოზიტების ცვლილების ტენდენცია 9

დეპოზიტების დაზღვევის ფონდი და პორტფელის მართვა 13

იურიდიული პირების დაზღვევა 16

საინფორმაციო კამპანია 16

სადაზღვევო ზღვრის გადახედვასთან დაკავშირებული აქტივობები 17

სოციოლოგიური კვლევა 18

კომერციული ბანკების ადგილზე გადამოწმება 19

2022 წელს განხორციელებული სხვა მნიშვნელოვანი საქმიანობის მიმოხილვა 19

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ფინანსური მდგომარეობა 21

შესავალი

საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემა 2018 წლიდან ამოქმედდა. ის უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედ ნებისმიერ კომერციულ ბანკში განთავსებული ფიზიკური და იურიდიული პირების ყველა სახის დეპოზიტების დაზღვევას. დეპოზიტების დაზღვევა დეპოზიტორების დაცვის მსოფლიოში აპრობირებული მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს დეპოზიტორების დაცვას დაზღვეული დეპოზიტების დაკარგვისგან (გარანტირებულად ანაზღაურებადი თანხის კონკრეტული ოდენობით) იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკის მიმართ ლიკვიდაციის პროცესი იწყება.

ამასთან სისტემა ხელს უწყობს ფინანსური სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებას, ამაღლებს საზოგადოებრივ ნდობას საბანკო სექტორის მიმართ და შესაბამისად, სტიმულს აძლევს დანაზოგების ზრდას.

ამოქმედებიდან დღემდე გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები სისტემის განვითარების მიზნით. სადაზღვევო ზღვარი, რომელიც თავდაპირველად 5 000 ლარით იყო განსაზღვრული, 15 000 ლარამდე გაიზარდა (2020 წლის 1 ივლისი); მიმდინარეობს მუშაობა ზღვრის შემდგომი გადახედვის საკითხზე. 2022 წლის 1 იანვრიდან კი სისტემას დაემატა იურიდიული პირების დაზღვევა, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოების კუთხით; ასევე, იზრდება დაზღვევის სისტემის, როგორც ფინანსური უსაფრთხოების კომპონენტის როლი და მნიშვნელობა. სისტემაში იურიდიული პირების ჩართვის შემდეგ, დაზღვეული დეპოზიტების ოდენობა საშუალოდ დაახლოებით 500 მილიონი ლარით იზრდება.

დეპოზიტების დაზღვევა პრუდენციულ რეგულირებასთან, ლიკვიდურობის მხარდაჭერასთან და ეფექტიან ზედამხედველობასთან ერთად, ფინანსური უსაფრთხოების სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია.



დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, როგორც ფინანსური უსაფრთხოების კომპონენტი, დანერგილია და მოქმედებს მსოფლიოს 145 ქვეყანაში.

საქართველოში სისტემის შემოღება გათვალისწინებული იყო, მათ შორის, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით. სისტემა დაინერგა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების გათვალისწინებით და რეგულირდება 2017 წლის 17 მაისს მიღებული საქართველოს კანონით „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ .

2022 წლის იანვრიდან საქართველო დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციის (IADI) წევრია.

სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო, მისია და ღირებულებები

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მართვისა და ადმინისტრირების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 ივლისის №357 დადგენილებით, ჩამოყალიბდა სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო (შემდგომში სააგენტო). სააგენტო, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, უფროსის ჩათვლით შტატით გათვალისწინებული 6 თანამშრომლით არის დაკომპლექტებული, მათ შორის ფინანსური ექსპერტი (2), ანაზღაურების ექსპერტი, იურისტი და ადმინისტრაციის სპეციალისტი. სააგენტო ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობს მათ შორის, შესყიდვების და ფინანსური მენეჯერების, საინფორმაციო ტექნოლოგიების კონსულტანტის და მძღოლის მომსახურებით.

სააგენტოს ზედამხედველობას უწევს საქართველოს ფინანსთა მინისტრის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის და 2 დამოუკიდებელი წევრისგან შემდგარი სამეთვალყურეო საბჭო. საბჭოს დამოუკიდებელ წევრებს ირჩევენ კომერციული ბანკები.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები, სააგენტოს ორგანიზებით, იმართება კვარტალურად. საბჭო პრეზენტაციის სახით იღებს ინფორმაციას სააგენტოს მიერ განხორციელებულ და მიმდინარე სამუშაოებთან, ასევე, ფონდის ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით; საბჭოსთან შეთანხმებით მიიღება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, თანხმდება კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტები (ინსტრუქციები), სააგენტოს ბიუჯეტი და სხვა საკითხები.

სააგენტოს მისიაა, მცირე ადმინისტრაციული რესურსით და ეფექტიანი მართვით, უზრუნველყოს დეპოზიტების დაზღვევის სისტემის გამართული ფუნქციონირება, სისტემის წინაშე არსებული ამოცანების გადაწყვეტა, მიზნების განხორციელება, ფუნქციათა შესრულების უწყვეტობა და შემდგომი განვითარების ხელშეწყობა.

სააგენტო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საჯარო პოლიტიკის ისეთი მიზნებით, როგორებიცაა ფინანსური უსაფრთხოების სისტემის გაძლიერება, დეპოზიტორების დაცვა და საბანკო სექტორში სისტემური კრიზისის პრევენცია. სააგენტო უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედი სისტემის დაახლოებას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან, მათ შორის დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციის ძირითად პრინციპებსა და ევროდირექტივით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

სისტემის წევრი ბანკები

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ამოქმედებისას (2018 წლის 1 იანვარი) საქართველოში 16 კომერციული ბანკი ოპერირებდა. 2018 წელს სისტემას ერთი კომერციული ბანკი გამოეთიშა, ხოლო 2021 წელს სს „კრედო ბანკმა“ სს“ ფინკა ბანკი საქართველოს“ აქციების 100%-იანი წილი შეიძინა.

2022 წლის 17 ნოემბერს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა პირველად გასცა საბანკო საქმიანობის ლიცენზია ციფრულ ბანკზე, რის შედეგადაც საბანკო სექტორს დაემატა პირველი ციფრული ბანკი სს „პეისერა ბანკი საქართველო“. საქართველოს ეროვნული ბანკის ციფრული ბანკის ლიცენზირების პრინციპების თანახმად, ახლად ლიცენზირებული ციფრული ბანკი გარკვეული შეზღუდვებით ოპერირებს. კერძოდ, ლიცენზიის მიღებიდან 4 თვის მანძილზე ციფრული ბანკი იმყოფება სატესტო რეჟიმში და რეალურ გარემოში საბანკო საქმიანობის განხორციელება შეზღუდული იქნება. რეალურ გარემოში საბანკო საქმიანობის უფლებამოსილება ციფრულ ბანკს ენიჭება სალიცენზიო მოთხოვნების შესრულების კვალდაკვალ ეროვნული ბანკის თანხმობის საფუძველზე.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულია 15 კომერციული ბანკი (ცხრილი #1).

ცხრილი #1: დეპოზიტების დაზღვევის სისტემის წევრი ბანკები, 2022 წლის 31 დეკემბერი

#	კომერციული ბანკი
1	სს "ბანკი ქართუ "
2	სს "ბაზისბანკი"
3	სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
4	სს "ზირაათ ბანკი საქართველო"
5	სს "თიბისი ბანკი"
6	სს "იშბანკი საქართველო"
7	სს "კრედო ბანკი"
8	სს "ლიბერთი ბანკი"
9	სს "პაშა ბანკი საქართველო "
10	სს "პეისერა ბანკი საქართველო"
11	სს "პროკრედიტ ბანკი"
12	სს "საქართველოს ბანკი"
13	სს "სილქ როუდ ბანკი"
14	სს "ტერაბანკი"
15	სს "ხალიკ ბანკი საქართველო"

სააგენტოს მიერ 2022 წელს განხორციელებული ძირითადი საქმიანობის მიმოხილვა

2022 წელს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ განხორციელდა მნიშვნელოვანი აქტივობები დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემდგომი განვითარების მიმართულებით.

2022 წლის 1 იანვრიდან სისტემას დაემატა იურიდიული პირების დაზღვევა და ჩატარდა შესაბამისი საინფორმაციო კამპანია.

საქართველოს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო გაწევრიანდა დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციაში (IADI).

სისტემის შესახებ ცნობადობის და საზოგადოებრივი განწყობების შესწავლის მიზნით, ჩატარდა სოციოლოგიური კვლევა.

სააგენტოს უფროსის პოზიციაზე, 5 წლიანი ვადის გასვლის შესაბამისად, ღია კონკურსის გზით შეირჩა და საბჭოს მიერ დაინიშნა ახალი უფროსი.

დაიწყო მუშაობა სადაზღვევო ზღვრის შემდგომი გადახედვის და ასევე, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მანდატის გაფართოების და სარეზოლუციო ჩარჩოში ჩართულობის შესაძლებლობების შესწავლის მიმართულებებით.

სააგენტო განაგრძობს კანონით გათვალისწინებულ ძირითადად საქმიანობას - კომერციული ბანკების მიერ ყოველთვიური ანგარიშგებების ანალიზს, შენატანების შეგროვებას და საინვესტიციო ფონდის მართვას.

კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის წევრია.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში 15 კომერციული ბანკი ოპერირებს. „კომერციული ბანკების მიერ გადასახდელი რეგულარული სადაზღვევო შენატანების

ბაზის დაანგარიშების, შენატანების გადახდის პროცედურების და დეპოზიტების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის“ ინსტრუქციის შესაბამისად, სისტემის წევრი ყველა კომერციული ბანკი ვალდებულია სააგენტოს ყოველთვიური ანგარიშგების სახით მიაწოდოს ინფორმაცია დაზღვეული დეპოზიტების შესახებ. ამავე ინსტრუქციის შესაბამისად ხდება ყოველთვიური სადაზღვევო შენატანის ოდენობის დაანგარიშება და დეპოზიტების დაზღვევის ფონდში გადახდა. როგორც ანგარიშგების წარდგენის, ისე სადაზღვევო შენატანის გადახდის ვადად განსაზღვრულია საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 15 (თხუთმეტი) რიცხვი. სააგენტოში კომერციული ბანკებიდან მიღებული ყოველთვიური ანგარიშგების ანალიტიკური დამუშავება უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება.

დეპოზიტების ცვლილების ტენდენცია

2022 წლის იანვრიდან დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (ფიზიკური და იურიდიული პირები) საშუალოდ თვიურად 1.63%-ით იზრდებოდა. რაც შეეხება ფიზიკური პირების დეპოზიტებს, მათი მოცულობა საშუალოდ 1.45%-ით, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტები საშუალოდ 1,85%-ით იზრდებოდა. მთლიანი დეპოზიტების, მათ შორის, ფიზიკური და იურიდიული პირების დეპოზიტების ზრდის მაქსიმალური ზრდა 2022 წლის აგვისტოს თვეში დაფიქსირდა და 7.60% შეადგინა. რაც შეეხება სულ დაზღვეულ დეპოზიტებს, საშუალოდ 2,23%-ით იზრდებოდა და ზრდის მაქსიმალურ მნიშვნელობას (6,75%) 2022 წლის დეკემბრის თვეში მიაღწია. #2 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

ცხრილი #2. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური და იურიდიული პირების დეპოზიტები, სულ დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება (%), მლრდ ლარი

	დეკ.21	იან.22	თებ.22	მარ.22	აპრ.22	მაი.22	ივნ.22	ივლ.22	აგვ.22	სექ.22	ოქტ.22	ნოე.22	დეკ.22	საშ
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა	38,03	37,51	38,71	38,04	38,50	38,74	39,69	40,18	43,23	43,52	43,68	44,10	46,03	
ცვლილება, %		-1,35	3,18	-1,71	1,19	0,62	2,45	1,24	7,60	0,67	0,36	0,96	4,38	1,63
ფიზიკური პირების დეპოზიტები	20,29	19,67	20,25	19,85	20,03	19,98	20,62	20,66	22,23	22,60	22,87	22,89	24,00	
ცვლილება, %		-3,06	2,96	-1,96	0,89	-0,23	3,19	0,20	7,60	1,67	1,18	0,08	4,85	1,45
იურიდიული პირების დეპოზიტები	17,74	17,84	18,45	18,19	18,47	18,75	19,06	19,52	21,00	20,92	20,81	21,21	22,03	
ცვლილება, %		0,59	3,42	-1,43	1,52	1,55	1,65	2,38	7,60	-0,39	-0,53	1,93	3,88	1,85
სულ დაზღვეული დეპოზიტები	4,56	4,80	4,84	4,76	4,83	4,91	5,10	5,16	5,34	5,45	5,50	5,54	5,92	
ცვლილება, %		5,43	0,78	-1,60	1,41	1,73	3,85	1,21	3,43	2,02	0,94	0,77	6,75	2,23

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი დეპოზიტების მოცულობა 21,04%-ით გაიზარდა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტებმა 18,27%-ით, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტებმა 24,20%-ით მოიმატა. რაც შეეხება სულ დაზღვეულ დეპოზიტებს, ზრდის ნიშნულმა 29.88% შეადგინა, რომელიც ნაწილობრივ იურიდიული პირების დამატებით (2022 წლის იანვარი) არის გამოწვეული. 2020 წლის დეკემბრის ბოლოს დაზღვეული დეპოზიტების ოდენობის მკვეთრი ზრდა კი დაკავშირებულია 2020 წლის ივლისის თვეში სადაზღვევო ზღვრის 5,000 ლარიდან 15,000 ლარამდე ზრდასთან. #3 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

ცხრილი #3. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური და იურიდიული პირების დეპოზიტები, სულ დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება(%), მლრდ ლარი

	დეკ.18	დეკ.19	დეკ.20	დეკ.21	დეკ.22
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა	23,90	27,24	35,42	38,03	46,03
ცვლილება, %		13,97	30,01	7,38	21,04
ფიზიკური პირების დეპოზიტები	12,50	15,07	18,49	20,29	24,00
ცვლილება, %		20,53	22,70	9,74	18,27
იურიდიული პირების დეპოზიტები	11,40	12,17	16,93	17,74	22,03
ცვლილება, %		6,75	39,11	4,78	24,20
დაზღვეული დეპოზიტები	1,75	2,02	4,04	4,56	5,92
ცვლილება, %		15,25	100,36	12,72	29,88

ფიზიკური პირების დეპოზიტები განთავსებული ეროვნულ ვალუტაში 2022 წლის განმავლობაში საშუალოდ თვიურად 2,45%-ით, აშშ დოლარში 2,44%-ით, ევროსა და სხვა

ვალუტაში კი შესაბამისად 4,90% და 4,83%-ით იზრდებოდა. #4 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

ცხრილი #4. ფიზიკური პირების დეპოზიტები ვალუტების მიხედვით, ცვლილება (%), მლრდ (ნომინალი)

	იან.22	თებ.22	მარ.22	აპრ.22	მაი.22	ივნ.22	ივლ.22	აგვ.22	სექ.22	ოქტ.22	ნოე.22	დეკ.22	საშ
ფიზიკური პირების დეპოზიტები, ლარი	5,27	5,37	5,39	5,44	5,50	5,70	5,92	5,93	6,16	6,25	6,30	6,86	
ცვლილება, %		1,9	0,4	1,0	1,1	3,5	4,0	0,2	3,7	1,5	0,9	8,8	2,45
ფიზიკური პირის დეპოზიტები, აშშ დოლარი	4,03	4,02	3,96	4,04	4,09	4,37	4,45	4,71	4,85	4,98	5,06	5,23	
ცვლილება, %		-0,18	-1,5	2,0	1,2	6,7	1,8	5,8	3,1	2,7	1,5	3,5	2,44
ფიზიკური პირების დეპოზიტები, ევრო	0,55	0,56	0,57	0,61	0,67	0,76	0,76	0,81	0,86	0,90	0,89	0,93	
ცვლილება, %		1,2	1,7	7,6	9,3	13,2	1,3	6,1	6,0	4,3	-0,8	4,1	4,90
ფიზიკური პირების დეპოზიტები, სხვა ვალუტა (აშშ დოლარი)	0,08	0,07	0,07	0,08	0,09	0,09	0,10	0,09	0,11	0,11	0,13	0,12	
ცვლილება, %		-2,9	-4,7	13,0	12,3	-1,9	14,6	-8,7	24,2	-0,5	13,2	-5,4	4,83

რაც შეეხება იურიდიული პირების დეპოზიტებს, ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტები საშუალოდ თვიურად 2,41%-ით, აშშ დოლარში 2,64%-ით, ევროსა და სხვა ვალუტაში კი შესაბამისად 3,49% და 0,28%-ით იზრდებოდა. #5 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

ცხრილი #5. ფიზიკური პირების დეპოზიტები ვალუტების მიხედვით, ცვლილება (%), მლრდ (ნომინალი)

	იან.22	თებ.22	მარ.22	აპრ.22	მაი.22	ივნ.22	ივლ.22	აგვ.22	სექ.22	ოქტ.22	ნოე.22	დეკ.22	საშ
იურიდიული პირების დეპოზიტები, ლარი	10,02	10,19	9,73	9,74	10,37	10,50	10,92	11,72	12,13	11,97	12,34	12,94	
ცვლილება, %		1,7	-4,5	0,1	6,5	1,2	4,0	7,3	3,5	-1,3	3,1	4,9	2,41
იურიდიული პირების დეპოზიტები, აშშ დოლარი	2,00	2,05	2,12	2,29	2,34	2,48	2,43	2,50	2,52	2,56	2,54	2,65	
ცვლილება, %		2,64	3,2	7,9	2,2	6,3	-2,1	2,9	0,8	1,6	-1,0	4,7	2,64
იურიდიული პირების დეპოზიტები, ევრო	0,47	0,48	0,52	0,51	0,44	0,48	0,62	0,66	0,57	0,59	0,67	0,64	
ცვლილება, %		2,3	8,8	-1,2	-14,0	8,9	28,5	6,9	-14,4	3,6	14,1	-5,0	3,49
იურიდიული პირების დეპოზიტები, სხვა ვალუტა (აშშ დოლარი)	0,04	0,03	0,03	0,02	0,02	0,03	0,04	0,03	0,03	0,04	0,04	0,03	
ცვლილება, %		-26,7	-5,4	-20,0	0,0	15,0	59,6	-31,8	-0,1	33,6	-11,4	-9,9	0,28

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იანვართან შედარებით ფიზიკური პირების დეპოზიტები ლარში 30,1%-ით, აშშ დოლარში 29.9%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 15%-ით), ევროში 67.9%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 42,5%-ით), ხოლო სხვა ვალუტაში 59.4%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 41.1%-ით) არის გაზრდილი. რაც შეეხება იურიდიული პირების დეპოზიტებს, ლარში 29,2%-ით, აშშ დოლარში 32.7%-ით (გაცვლითი

კურსის ეფექტის გარეშე 17.5%-ით), ევროში 35.9%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 15,4%-ით) არის გაზრდილი, ხოლო სხვა ვალუტაში 25.9%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 34.4%-ით) არის შემცირებული. #6 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

ცხრილი #6. ფიზიკური და იურიდიული პირების დეპოზიტები ვალუტების მიხედვით, საკურსო ეფექტის ცვლილება, მლრდ (ნომინალი)

ფიზიკური პირების დეპოზიტები	იან.22	დეკ.22	დეკ.22 *
ლარი	5,27	6,86	6,86
ცვლილება, %		30,1	30,1
აშშ დოლარი	4,03	5,23	4,63
ცვლილება, %		29,9	15,0
ევრო	0,55	0,93	0,79
ცვლილება, %		67,9	42,5
სხვა ვალუტა (აშშ დოლარი)	0,08	0,12	0,11
ცვლილება, %		59,4	41,1

* გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე

იურიდიული პირების დეპოზიტები	იან.22	დეკ.22	დეკ.22 *
ლარი	10,02	12,94	12,94
ცვლილება, %		29,2	29,2
აშშ დოლარი	2,00	2,65	2,35
ცვლილება, %		32,7	17,5
ევრო	0,47	0,64	0,54
ცვლილება, %		35,9	15,4
სხვა ვალუტა (აშშ დოლარი)	0,04	0,03	0,03
ცვლილება, %		-25,9	-34,4

* გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე

2022 წლის დეკემბრის მონაცემების მიხედვით, სრულად დაზღვეულია დეპოზიტორი ფიზიკური და იურიდიული პირების 97% და 86% შესაბამისად. დაზღვეულია ფიზიკური პირების მთლიანი დეპოზიტების 22,35%, ხოლო იურიდიული პირების 2,52% (სულ დაზღვეული დეპოზიტების 12,86%). ფიზიკური პირების დაზღვეული დეპოზიტების 52% დაზღვეულია ეროვნულ ვალუტაში, ხოლო 48% - უცხოურ ვალუტაში. დაზღვეული იურიდიული პირების დეპოზიტების შემთხვევაში დაზღვეული დეპოზიტების 71% დაზღვეული ეროვნულ ვალუტაში, ხოლო 29% უცხოურ ვალუტაში.

კომერციული ბანკების მიერ დეპოზიტების დაზღვევის ფონდში 2022 წლის განმავლობაში სულ გადასახდელი რეგულარული სადაზღვევო შენატანის მოცულობა თვიურად საშუალოდ 2.33%-ით იზრდებოდა (ცხრილი #7). მაქსიმალური ზრდა (6.29%) 2022 წლის იანვრის თვეში დაფიქსირდა და რეგულარული სადაზღვევო შენატანის მთლიანმა მოცულობამ 2 963 812 ლარი შეადგინა. 2022 წლის დეკემბრის თვის რეგულარული სადაზღვევო შენატანის მოცულობა წინა წლის შესაბამის მონაცემს 31%-ით აღემატება, რაც ნაწილობრივ 2022 წლის იანვრიდან იურიდიული პირების დამატების შედეგად გაზრდილი შენატანების შედეგია. აღნიშნული ცვლილების გარეშე, შენატანების ზრდა 21% იქნებოდა.

ცხრილი #7. რეგულარული სადაზღვევო შენატანი (ფიზიკური, იურიდიული, სულ), ცვლილება, %,მლნ ლარი

	დეკ.21	იან.22	თებ.22	მარ.22	აპრ.22	მაი.22	ივნ.22	ივლ.22	აგვ.22	სექ.22	ოქტ.22	ნოე.22	დეკ.22	საშ	წლიური
რეგულარული სადაზღვევო შენატანი (ფიზიკური პირები)	2,79	2,72	2,74	2,67	2,72	2,77	2,89	2,93	3,06	3,12	3,16	3,19	3,36		
თვიური ცვლილება, %		-2,41	0,71	-2,65	1,95	2,01	4,09	1,37	4,52	1,85	1,28	1,01	5,41	1,60	20,53
რეგულარული სადაზღვევო შენატანი (იურიდიული პირები)	0	0,24	0,24	0,24	0,25	0,26	0,26	0,27	0,28	0,29	0,29	0,29	0,30		
თვიური ცვლილება, %			0,94	-0,15	2,19	2,73	2,42	4,42	1,93	2,03	1,12	1,61	3,80	2,09	
სულ რეგულარული სადაზღვევო შენატანი	2,79	2,96	2,99	2,91	2,97	3,03	3,15	3,20	3,34	3,40	3,45	3,48	3,67		
თვიური ცვლილება, %		6,29	0,73	-2,44	1,97	2,07	3,95	1,62	4,30	1,86	1,27	1,06	5,27	2,33	31,45

დეპოზიტების დაზღვევის ფონდი და პორტფელის მართვა

2022 წლის იანვარ-დეკემბერში დეპოზიტების დაზღვევის ფონდში ბანკების მიერ რეგულარული სადაზღვევო შენატანის სახით 37,678,392 ლარი აკუმულირდა. კუპონის სახით და საქართველოს ეროვნულ ბანკში ერთდღიან დეპოზიტზე განთავსებული სახსრებიდან მიღებულმა შემოსავალმა შესაბამისად 8,477,992 ლარი და 561,955 ლარი შეადგინა. ხოლო 2022 წელს დაბრუნებული ფასიანი ქაღალდის მოცულობამ 25,720,000 ლარი შეადგინა. 2022 წლის ბოლოს სისტემას დაემატა ახალი კომერციული ბანკი, რის შედეგადაც პირველადი შენატანის მოცულობამ კანონის შესაბამისად შეადგინა 100,000 ლარი. დეტალური ინფორმაცია ფონდში აკუმულირებული სახსრების შესახებ მოცემულია ცხრილში #8. აღნიშნული სახსრები, „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკისა და წლიური საინვესტიციო გეგმის შესაბამისად, მიემართება ინვესტირებაზე; ფონდის დაცულობისა და ლიკვიდურობის შენარჩუნების მიზნით, სახსრების ინვესტირება მხოლოდ დაბალრისკიან აქტივებში, კერძოდ, სახაზინო ფასიან ქაღალდებში ხორციელდება. ასევე, 2022 წლის იანვრიდან საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, სააგენტო თავისუფალ სახსრებს განათავსებს საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიან დეპოზიტის ანგარიშზე.

ცხრილი #8: დეპოზიტების დაზღვევის ფონდის შემოსავლები და ხარჯი, 2017-2022

წელი	**პირველადი შენატანი**	**რეგულარული სადაზღვევო შენატანი**	**სადღეღამისო სარგებელი**	**კუპონი**	**სულ შემოსავალი**	**ხარჯი**
2017	1 600 000	0	0	0	1 600 000	87 301
2018	0	13 843 674	0	349 391	14 193 065	518 292
2019	0	16 787 385	0	1 541 832	18 329 218	871 330
2020	0	22 687 212	0	3 436 201	26 123 412	739 162
2021	0	30 674 335	0	5 229 436	35 903 771	682 498
2022	100 000	37 678 392	561 955	8 477 992	46 256 384	1 604 818
სულ	**1 700 000**	**121 670 997**	**561 955**	**19 034 853**	**142 405 850**	**4 503 401**

დეპოზიტების დაზღვევის ფონდიდან იფარება სააგენტოს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხარჯი. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დეპოზიტების დაზღვევის ფონდში აკუმულირებულია 137,833,411 ლარი.

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ყოველწლიური საინვესტიციო გეგმის შესაბამისად, სახაზინო ფასიან ქაღალდებში 2022 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით 134,104,498 ლარის მოცულობის ინვესტიცია განხორციელდა, ხოლო ნომინალური ღირებულება 132,050,000 ლარს შეადგენს (ცხრილი #9).

ცხრილი #9: დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს პორტფელი, დეკემბერი 2017 - დეკემბერი 2022

აუქციონის თარიღი	ნომინალური ღირებულება, ლარი	შესყიდვის ფასი, ლარი	ვადიანობა	სარგებლის პროცენტი	კუპონი (%)	დაფარვის თარიღი
24.01.2018	20 000	20 005	5 წელი	8,119	8,125	25.01.2023
21.02.2018	1 160 000	1 175 309	5 წელი	7,950	8,125	25.01.2023
21.03.2018	1 130 000	1 158 602	5 წელი	7,800	8,125	25.01.2023
25.04.2018	1 190 000	1 233 878	5 წელი	7,700	8,125	25.01.2023
27.06.2018	2 245 000	2 356 869	5 წელი	7,720	8,125	25.01.2023
22.08.2018	20 000	20 606	5 წელი	7,477	8,125	25.01.2023
26.02.2019	1 239 000	1 277 767	5 წელი	7,375	7,375	27.09.2023
25.06.2019	1 320 000	1 326 928	5 წელი	7,000	7,000	30.05.2024
24.09.2019	845 000	841 134	5 წელი	7,700	7,000	30.05.2024
22.10.2019	1 455 000	1 403 350	5 წელი	8,700	7,000	30.05.2024
28.01.2020	486 000	482 596	5 წელი	9,300	9,125	30.05.2025
25.05.2020	1 500 000	1 544 742	5 წელი	9,125	9,125	30.05.2025
25.05.2020	1 500 000	1 552 167	5 წელი	9,000	9,125	30.05.2025
28.07.2020	1 500 000	1 552 990	5 წელი	8,600	9,125	30.05.2025
28.07.2020	1 500 000	1 558 914	5 წელი	8,500	9,125	30.05.2025
26.01.2021	2 000 000	2 006 076	5 წელი	8,050	8,125	28.01.2026
26.01.2021	2 000 000	2 002 023	5 წელი	8,100	8,125	28.01.2026
23.03.2021	2 380 000	2 374 635	5 წელი	8,500	8,125	28.01.2026
02.02.2021	5 000 000	5 000 000	2 წელი	8,000	8,000	04.02.2023
02.02.2021	2 500 000	2 497 733	2 წელი	8,050	8,000	04.02.2023
02.03.2021	2 530 000	2 549 832	2 წელი	7,900	8,000	04.02.2023
06.04.2021	50 000	50 237	2 წელი	8,542	8,000	04.02.2023
27.04.2021	770 000	767 182	5 წელი	8,750	8,125	28.01.2026
01.06.2021	2 750 000	2 775 829	2 წელი	9,100	8,000	04.02.2023
01.06.2021	2 750 000	2 779 969	2 წელი	9,000	8,000	04.02.2023
06.07.2021	2 450 000	2 497 870	2 წელი	9,000	8,000	04.02.2023
03.08.2021	8 280 000	8 179 412	2 წელი	8,900	8,000	04.02.2023
24.08.2021	1 950 000	1 880 711	5 წელი	9,300	8,125	28.01.2026
24.08.2021	2 000 000	1 935 885	5 წელი	9,200	8,125	28.01.2026
07.09.2021	180 000	178 931	2 წელი	9,100	8,000	04.02.2023
05.10.2021	2 630 000	2 633 869	2 წელი	9,000	8,000	04.02.2023
02.11.2021	2 920 000	2 940 592	2 წელი	9,100	8,000	04.02.2023
07.12.2021	3 620 000	3 680 377	2 წელი	9,000	8,000	04.02.2023
01.02.2022	2 950 000	2 975 873	2 წელი	9,800	9,875	06.01.2024
05.04.2022	4 450 000	4 550 401	2 წელი	10,000	9,875	06.01.2024
03.05.2022	7 000 000	7 159 735	2 წელი	10,500	9,875	06.01.2024
07.06.2022	5 450 000	5 645 196	2 წელი	10,300	9,875	06.01.2024
22.02.2022	4 000 000	4 068 182	5 წელი	9,500	9,750	27.01.2027
22.02.2022	1 700 000	1 715 831	5 წელი	9,700	9,750	27.01.2027
28.06.2022	4 650 000	4 783 691	5 წელი	10,100	9,750	27.01.2027
23.08.2022	730 000	736 785	5 წელი	9,700	9,750	27.01.2027
02.08.2022	5 250 000	5 298 558	2 წელი	9,750	9,875	06.01.2024
04.10.2022	4 000 000	4 006 078	2 წელი	9,290	9,375	06.10.2024
04.10.2022	4 000 000	4 008 226	2 წელი	9,260	9,375	06.10.2024
01.11.2022	4 000 000	4 036 925	2 წელი	9,250	9,375	06.10.2024
22.11.2022	5 000 000	5 287 609	5 წელი	8,990	9,750	27.01.2027
06.12.2022	10 000 000	10 238 450	2 წელი	8,900	9,375	06.10.2024
27.12.2022	5 000 000	5 355 938	5 წელი	8,850	9,750	27.01.2027
ჯამი	**132 050 000**	**134 104 498**				

საჯაროობის პრინციპის დაცვით, სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ყოველთვიურად ქვეყნდება საინვესტიციო საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია. ასევე, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებზე განიხილება სააგენტოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები და პორტფელის მდგომარეობა.

იურიდიული პირების დაზღვევა

2022 წლის პირველი იანვრიდან დეპოზიტების დაზღვევის სისტემა ფიზიკურ პირებთან ერთად, იურიდიულ პირებზეც გავრცელდა.

სისტემით უკვე უზრუნველყოფილია არა მხოლოდ ფიზიკური პირების, არამედ იურიდიული პირების დეპოზიტების გარანტირებული დაზღვევა და ანაზღაურება. ამით საქართველოს დეპოზიტების დაზღვევის სისტემა კიდევ უფრო დაუახლოვდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და გაიზიარა შესაბამისი ევრო-დირექტივის მნიშვნელოვანი პრინციპები. აღნიშნული ცვლილებით იზრდება დაზღვევის სისტემის, როგორც ფინანსური უსაფრთხოების კომპონენტის როლი და მნიშვნელობა.

იურიდიული პირების დეპოზიტების გარანტირებული დაზღვევა, ქმნის უსაფრთხოების დამატებით გარანტიას, სტიმულს მცირე ბიზნესისთვის და დადებითად აისახება ქვეყნის საინვესტიციო იმიჯსა და კლიმატზე. სისტემაში იურიდიული პირების ჩართვის შედეგად დაზღვეული დეპოზიტების ოდენობა დაახლოებით 500 მლნ ლარით იზრდება.

საინფორმაციო კამპანია

დეპოზიტების დაზღვევის სისტემაში იურიდიული პირების ჩართვასთან დაკავშირებით მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, 2022 წლის იანვარ-თებერვალში ჩატარდა საინფორმაციო კამპანია. დამზადდა ანიმაციური ვიდეო-რგოლი, რომელიც განთავსდა ქვეყნის ძირითად ტელევიზიებში, როგორც სოციალური, ისე კომერციული რეკლამის სახით. რეკლამა ასევე გავრცელდა რადიო-ეთერების, სააგენტოს ოფიციალური ვებ და სოციალური მედიის გვერდების საშუალებით.

შესაბამისი ცვლილება შევიდა „კომერციული ბანკების მიერ მოქმედი და პოტენციური კლიენტებისათვის დეპოზიტების დაზღვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ინსტრუქციაში“. შედგა აქტიური კომუნიკაცია კომერციულ ბანკებთან აღნიშნული სიახლის შეტყობინების და მასთან დაკავშირებული შემდგომი აქტივობების დაგეგმვის მიზნით. ინსტრუქციის შესაბამისად, დამზადდა განახლებული საინფორმაციო ბუკლეტი, რომელიც კომერციულმა ბანკებმა ოფისებში გაავრცელეს. ბანკებმა შესაბამისი ცვლილებები შეიტანეს, ასევე, კლიენტებთან ხელშეკრულებებსა და ვებ-გვერდებზე დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ განთავსებულ ცნობებში.

სადაზღვევო ზღვრის გადახედვასთან დაკავშირებული აქტივობები

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სააგენტო პერიოდულად წარუდგენს საბჭოს „ზღვრის ოდენობის საერთაშორისო სტანდარტებსა და პრაქტიკასთან შესაბამისობის ანალიზს“, რის საფუძველზეც მიიღება ზღვრის გადახედვის - გაზრდის ან უცვლელად დატოვების გადაწყვეტილება.

2022 წლის მეოთხე კვარტალში სააგენტომ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზღვრის გაზრდის რამდენიმე სცენარი და შესაბამისი კალკულაციები.

საბჭომ იმსჯელა წარმოდგენილ მოდელებზე და მისაღებად მიიჩნია 2024 წლიდან ზღვრის 30 000 ლარამდე გაზრდა, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილების ოფიციალურად მიღებამდე, სააგენტოს დაევალა კომერციულ ბანკებთან კომუნიკაცია და მათთვის სავარაუდო ცვლილების წარდგენა.

ზღვრის გაზრდის სასარგებლოდ შემდეგი არგუმენტები გამოითქვა:

1. ევროდირექტივის შესაბამისად, ევროპაში დაზღვეული დეპოზიტების ზღვარი 100 000 ევროა. საქართველოსთვის, ახლო მომავალში, აღნიშნულ ნიშნულამდე ზრდა არარეალისტურია, თუმცა ზრდის ტენდენცია, გონივრულ ვადებში, შესაბამისი ტემპით და ოდენობით, უნდა გაგრძელდეს;
2. დეპოზიტების დაზღვევის ძირითადი პრინციპების და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, სისტემის შემოღება, ასევე, ზღვრის გაზრდა, მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც ზოგადი ფინანსური ვითარება და საბანკო სექტორი სტაბილურია. ამ ეტაპზე, საბანკო სექტორი ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და მაღალშემოსავლიანი სექტორია.

სოციოლოგიური კვლევა

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს 2020-2023 წლების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, 2021 წლის მეოთხე კვარტალში დაიწყო დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საზოგადოების ცნობადობის შესწავლის სოციოლოგიური კვლევისთვის მზადება, რომელიც 2022 წლის პირველ კვარტალში ჩაატარა კომპანია „ACT საქართველომ“. კომპანიასა და სააგენტოს შორის აქტიური თანამშრომლობით, შემუშავდა კითხვარი, რომლის საშუალებით, სატელეფონო ინტერვიუების გზით, გამოვლინდა ქვეყნის მასშტაბით სისტემის შესახებ საზოგადოებაში არსებული ცნობადობა და განწყობები. კვლევა ასევე ეხებოდა, ზოგადად, საბანკო სექტორის მიმართ საზოგადოების ნდობას, დეპოზიტების დაზღვევის სისტემასთან მიმართებით არსებულ განწყობებს და იმ საინფორმაციო წყაროებს, საიდანაც მოსახლეობა მეტად იღებს ცნობებს სისტემის შესახებ.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტომ უნდა განაგრძოს აქტიური მუშაობა საინფორმაციო კამპანიების კუთხით, ვინაიდან საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ჯერ ისევ არ არის ცნობილი სრულყოფილი ინფორმაცია დეპოზიტების დაზღვევის სისტემის არსებობის და მისი შინაარსის შესახებ. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ სისტემას დადებითად აფასებს მოსახლეობის 60%. რაც შეეხება საბანკო სექტორის ნდობის მაჩვენებელს, ის სტაბილურად მაღალ ნიშნულს ინარჩუნებს.

მსგავსი ტიპის კვლევა დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვის შემდეგ პირველად ჩატარდა. მისი შედეგები სააგენტოს შესაძლებლობას აძლევს დაგეგმოს მიზნობრივი საინფორმაციო კამპანიები. ასე მაგალითად, შედეგებით გამოვლინდა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობამ, სისტემის შესახებ ინფორმაცია კომერციული ბანკებისგან მიიღო. აღნიშნულზე დაყრდნობით, სააგენტომ გააძლიერა ამ მიმართულებით თანამშრომლობა კომერციულ ბანკებთან. საქართველოს საბანკო ასოციაციის ჩართულობით, მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რომ შემუშავდეს ერთობლივი პიარ სტრატეგია და დაიგეგმოს კონკრეტული ღონისძიებები კომერციული ბანკების ჩართულობით, რაც აამაღლებს საზოგადოების ინფორმირებულობას დეპოზიტების დაზღვევის სისტემის და მისი მნიშვნელობის შესახებ. ეს ორმხრივად სარგებლიანი თანამშრომლობაა სააგენტოსა და კომერციულ ბანკებს შორის.

უფრო ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია იგეგმება მას შემდეგ, რაც სისტემაში არსებითი ცვლილებები განხორციელდება, მაგალითად, მიღებული იქნება/ამოქმედდება გადაწყვეტილება ზღვრის ახალი ოდენობის შესახებ.

კომერციული ბანკების ადგილზე გადამოწმება

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო უფლებამოსილია „კომერციულ ბანკებში არსებული დაზღვეული დეპოზიტების შესახებ კომერციული ბანკებისგან მიღებული ინფორმაცია გადაამოწმოს ადგილზე, დისტანციურად ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული პირის ან/და კომერციული ბანკების გარე აუდიტორების მეშვეობით“ („საქართველოს კანონი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“, მუხლი 4, პუნქტი 1, „ლ“ ქვეპუნქტი). აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, 2022 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ადგილზე გადამოწმდა შემდეგი კომერციული ბანკები: სს „საქართველოს ბანკი“, სს „თიბისი ბანკი“, სს „ლიბერთი ბანკი“, სს “პროკრედიტ ბანკი“ და სს „ტერაბანკი“.

გადამოწმების პროცესში ჩართული იყო საქართველოს ეროვნული ბანკის სპეციალიზებული რისკების დეპარტამენტი. შემოწმების მიზანს წარმოადგენდა, სისტემაში იურიდიული პირების ჩართვის შემდგომ, ბანკების მიერ სააგენტოსთვის მოწოდებული ყოველთვიური ინფორმაციის შედგენის პროგრამული უზრუნველყოფის და ბიზნეს-პროცესის გამართულობის გადამოწმება.

გადამოწმების შედეგად გამოვლინდა ცალკეული ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრის მიზნით, კომერციულ ბანკებს მიეცათ შესაბამისი ინსტრუქციები. საერთო ჯამში კი, პროცესი გამართულია და წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება კანონითა და „კომერციული ბანკების მიერ გადასახდელი რეგულარული სადაზღვევო შენატანების ბაზის დაანგარიშების, შენატანების გადახდის პროცედურების და დეპოზიტების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ” ინსტრუქციით განსაზღვრულ პარამეტრებს.

2022 წელს განხორციელებული სხვა მნიშვნელოვანი საქმიანობის მიმოხილვა

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სააგენტოს უფროსი ინიშნება 5 წლის ვადით. 2022 წლის აგვისტოში, გამოცხადდა სააგენტოს უფროსის შესარჩევი ღია კონკურსი. საკონკურსო კომისიის შერჩეული კანდიდატი, ლევან თოდუა, სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, 2022 წლის სექტემბერში დაინიშნა სააგენტოს უფროსად. ლევან თოდუა წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სხვადასხვა პოზიციაზე, მათ შორის, უკანასკნელი წლების მანძილზე, ის

ხელმძღვანელობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის სახელმწიფო სესხების და სადეპოზიტო ოპერაციების დეპარტამენტს.

სააგენტოში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა დეპოზიტების დაზღვევის ფონდის მანდატის შემდგომი განვითარების მიმართულებით. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სარეზოლუციო ჩარჩოს შემუშავების შემდეგ, აქტუალური გახდა დეპოზიტების დაზღვევის ფონდის არსებული მანდატის გადახედვისა და რეზოლუციის პროცესში სააგენტოს ჩართვის შესაძლებლობების განხილვა, მით უფრო, რომ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა ითვალისწინებს, მანდატის ეტაპობრივ განვითარება-გაფართოებას. ამჟამად, მსოფლიოში მოქმედი დეპოზიტების დაზღვევების ფონდების მხოლოდ 20% შემოიფარგლება მარტივი მანდატით და მხოლოდ ანაზღაურებით. ფონდების 80%-ის მანდატი გაცილებით ფართოა და მათ შორის სარეზოლუციო სქემებში სხვადასხვა ფორმატით ჩართულობას მოიაზრებს.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული მიმართულებით საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლისა და ანალიზის კუთხით. სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებულ საბანკო რეზოლუციის სიმულაციურ სამუშაოში, საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად. აღნიშნულ სამუშაოში ჩართულობა, მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო, როგორც ინფორმაციის გაზიარების, ისე პროცესის პრაქტიკაში დაკვირვების კუთხით.

გასული წლის გაზაფხულზე დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო ჩართული იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსური სისტემის შეფასების პროგრამაში (FSAP). მისიის დასკვნების შესაბამისად, სააგენტო, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნულ ბანკთან ერთად, შეიმუშავებს კრიზისების მართვის რამდენიმე სახელმძღვანელო დოკუმენტს, როგორც შიდა, ისე უწყებათაშორისი ხასიათის, რომლებშიც ჩამოყალიბებული იქნება ფინანსური სტაბილურობის კუთხით არსებულ პრობლემებთან კოორდინირებული მოქმედების წესები და პრინციპები.

სააგენტო განაგრძობს საერთაშორისო პარტნიორობის გაღრმავებას დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციის ფორმატში. სააგენტოს თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ შეხვედრებში, როგორც რეალურ, ისე ონლაინ პლატფორმებზე, რაც საუკეთესო შესაძლებლობაა სხვადასხვა ქვეყნის დაგროვილი გამოცდილების გაზიარებისთვის. სააგენტო განიხილავს ორგანიზება გაუწიოს საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციის კონფერენციის და ევროპისა და ევრაზიის კომიტეტების (ის რეგიონული კომიტეტები, რომელთა წევრიც საქართველოა) საქართველოში გამართვას. მსგავსი ტიპის მაღალი დონის ღონისძიების გამართვა ქვეყანაში მნიშვნელოვანია არა

მხოლოდ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის, არამედ მთლიანად ქვეყნის პოზიტიური იმიჯის შექმნის და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების კუთხით.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სააგენტოს ყოველწლიურად უტარდება ფინანსური ანგარიშგებისა და ფონდის აქტივების შეფასების აუდიტი. 2022 წლის დასკვნა ხელმისაწვდომია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ფინანსური მდგომარეობა

სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯები გაწერილია შესაბამისი წლის ბიუჯეტით და ფინანსდება დეპოზიტების დაზღვევის ფონდის სახსრებით. ფონდის შემოსავლების მთავარ ნაწილს წარმოადგენს კომერციული ბანკების მიერ განხორციელებული პირველადი შენატანები, რეგულარული სადაზღვევო შენატანები და საინვესტიციო საქმიანობისგან მიღებული სარგებელი. სააგენტოს აქვს ფონდის და ანგარიშსწორების ანგარიში ხაზინაში, რომლის საშუალებითაც ახორციელებს ანგარიშსწორებას კანონმდებლობის შესაბამისად. სააგენტოს 2022 წლის ბიუჯეტი, დამტკიცებული სააგენტოს უფროსის მიერ სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით, შეადგენდა 1,658,000 ლარს, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 1,604,818.15 ლარი (ცხრილი #10).

ცხრილი #10: დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ, 2022 წელი

სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო	გეგმა	ვალდებულება	გადახდა
ჯამი	1 658,000.00	1 607,811.15	1 604,818.15
ხარჯები	1 047,700.00	997,516.15	994,523.15
შრომის ანაზღაურება	377,400.00	330,697.57	330,697.57
საქონელი და მომსახურება	554,700.00	551,487.25	548,494.25
გრანტები	113,000.00	112,909.15	112,909.15
სოციალური უზრუნველყოფა	2,100.00	2,018.80	2,018.80
სხვა ხარჯები	500.00	403.38	403.38
არაფინანსური აქტივების ზრდა	610,300.00	610,295.00	610,295.00